

მარია თედორაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფაკულტეტის
ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის
ასისტენტ-პროფესორი
ტელ.: 577668603
ელ. ფოსტა: maritedoradze@gmail.com
ORCID კოდი: 0009-0006-8310-7488

სალომე გუმბერიძე

ფილოლოგიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოლოგიის ფაკულტეტის
ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის
მონვეული სპეციალისტი
ტელ.: 577674062
ელ. ფოსტა: salomegumberidze2015@gmail.com

გურული ლექსიკა გიორგი კეკელიძის „გურული დღიურების“ მიხედვით

აბსტრაქტი

მწერლის ენის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც სალიტერატურო ენის, ისე ამა თუ იმ დიალექტის შესწავლის საქმეში. დიალექტებში არსებული ლექსიკა მდიდარია იმ სიტყვაფორმებით, რომლებიც ხშირად ნაკლებად გვხვდება სალიტერატურო ენაში, თუმცა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენის ისტორიის წარმოსაჩენად. ამ ფონზე საშური საქმეა დიალექტებში დაცული იმ ლექსიკური ერთეულების აღნუსხვა და ანალიზი, რომელთა გამოყენება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მცირდება და მივიწყებას ეძლევა.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს გურული დიალექტური ლექსიკის ანალიზს გიორგი კეკელიძის – „გურული დღიურების“ – მიხედვით. საანალიზო მასალიდან წარმოვადგენთ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც დასტურდება არა მხოლოდ გურულში, არამედ ქართული ენის სხვა დიალექტებშიც. განხილული ერთეულები საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ავტორი კონკრეტულ სიტყვაფორმებს სძენს განსხვავებულ კონოტაციას. გაანალიზებულია დიალექტური სიტყვების სემანტიკუ-

რი და მორფოლოგიური მახასიათებლები, მათი გამოყენების კონტექსტები და მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების თვალსაზრისით. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ლექსიკური მრავალფეროვნება და უნიკალური გამოთქმები, რომლებიც ხშირად გვხვდება ლიტერატურულ ნაწარმოებებში და გამდიდრებულია მხატვრული ხერხებით.

ჩვენ მიერ შესწავლილი ლექსიკური ერთეულები პირობითად დაგვავით **სახელურ** (წვიტი, მენუნე, ჭონჭყო, გალანცული...) და **ზმნურ** (გადავლექე, ვჩურთავდი, ფუთქავს, იცრიალებს, იროფება...) სიტყვაფორმებად, შევუდარეთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკონებს. შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ გიორგი კეკელიძის მიერ გამოყენებული დიალექტური ლექსიკური ერთეულები დასტურდება არა მხოლოდ გურულში, არამედ ქართული ენის სხვა დიალექტებშიც.

საკვანძო სიტყვები: გურული დიალექტი, დიალექტური ლექსიკა, გიორგი კეკელიძე

Marika Tedoradze

Doctor of Philology,

Akaki Tsereteli State University Assistant Professor,

Department of Georgian Language and Literature, Faculty of Philology .

Salome Gumberidze

Doctor of Philology, Akaki Tsereteli State University Faculty of Philology;

Department of Georgian Language and Literature; Visiting Specialist.

GURIAN VOCABULARY IN GIORGI KEKELIDZE'S „GURIAN DIARIES“

ABSTRACT

The study of an author's language is essential both for the exploration of literary language and for the investigation of individual dialects. Dialects preserve lexical forms that are often less common in the standard language, yet play a significant role in representing the history of the language. Against this background, the documentation and analysis of dialectal lexical units—whose usage is gradually declining and falling into oblivion—remains a crucial scholarly task.

The present research aims to analyze the Gurian dialectal vocabulary as reflected in Giorgi Kekelidze's Gurian Diaries. From the analyzed material, we present lexical items

that are attested not only in Gurian, but also across other Georgian dialects. These lexical units are of particular interest since the author often assigns distinct connotations to specific word forms. The study examines the semantic and morphological characteristics of the dialectal words, their contexts of use, and their significance for enriching the modern Georgian lexicon. Of special importance is the lexical diversity and the unique expressions employed by the author, many of which are artistically elaborated and frequently occur in literary texts.

The lexical units under study are provisionally divided into nouns (e.g., tsviti, metsunie, chonchkho, galantsuli) and verbs (e.g., gadavlek'e, vch'urt'avdi, putk'avts, itsrialebs, iropheba). These were compared with entries in the Explanatory Dictionary of the Georgian Language as well as various dialectal dictionaries. The analysis reveals that the dialectal vocabulary employed by Giorgi Kekelidze is attested not only in Gurian but also in other Georgian dialects.

Keywords: Gurian dialect, dialectal vocabulary, Giorgi Kekelidze

მწერლის ენის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც სალიტერატურო ენის, ისე ამა თუ იმ დიალექტის შესწავლის საქმეში. დიალექტებში არსებული ლექსიკა მდიდარია იმ სიტყვაფორმებით, რომლებიც ხშირად ნაკლებად გვხვდება სალიტერატურო ენაში, თუმცა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენის ისტორიის წარმოსაჩენად. ამ ფონზე საშური საქმეა დიალექტებში დაცული იმ ლექსიკური ერთეულების აღნუსხვა და ანალიზი, რომელთა გამოყენება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მცირდება და მივიწყებას ეძლევა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გურული დიალექტი, რომელიც გამოირჩევა არა მხოლოდ ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებებით, არამედ ლექსიკური მრავალფეროვნებით.

სტატიაში განვიხილავთ გიორგი კეკელიძის „გურულ დღიურებში“ გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ავტორი კონკრეტულ სიტყვაფორმებს სძენს განსხვავებულ კონოტაციას.

ნაშრომში გაანალიზებულია დიალექტური ერთეულების სემანტიკური და მორფოლოგიური მახასიათებლები, მათი გამოყენების კონტექსტები და მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების თვალსაზრისით. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ლექსიკური მრავალფეროვნება და უნიკალური გამოთქმები, რომლებიც ხშირად გვხვდება ლიტერატურულ ნაწარმოებებში და გამდიდრებულია მხატვრული ხერხებით.

კვლევა განხორციელდა ტექსტური ანალიზისა და ლექსიკოგრაფიული შედარების მეთოდებით. გიორგი კეკელიძის „გურული დღიურებიდან“ ამოღებული დიალექ-

ტური ლექსიკური ერთეულები შეჯერებულ იქნა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონთან და სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკონთან. გამოყენებულ იქნა შედარებითი – ტიპოლოგიური მიდგომა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა თითოეული ერთეულის სემანტიკური, მორფოლოგიური და ფონეტიკური თავისებურებების გამოვლენას და მათი გავრცელების არეალის დადგენას ქართულ დიალექტებში.

საანალიზო მასალიდან მოვიყვანთ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც დასტურდება არა მხოლოდ გურულში, არამედ ქართული ენის სხვა დიალექტებშიც.

ჩვენ მიერ მოძიებული სიტყვაფორმები პირობითად დავყავით ორ ჯგუფად: **სახელური და ზმნური ლექსიკური ერთეულები.**

1. სახელური სიტყვაფორმები

გიორგი კეკელიძის „გურულ დღიურებში“ ვხვდებით ნიშან-თვისებათა გამომხატველ საინტერესო დიალექტურ ფორმებს, როგორცაა: **წვიტი, მენუნე, ჭონჭყო, გალანცული...**

წვიტი – ვინრო, წვრილი. „შეხედე კუსუნია დედა – უთხრა ბებია, აი შარვალი ნამეტანი წვიტია და ხომ არ გამოუშვით ცოტა წელში?“

საანალიზო ერთეული უფრო მეტად დასავლურ დიალექტებშია შემონახული. გურულ დიალექტში აღნიშნავს პატარა ზომის, წვრილ, მცირე რაოდენობის საგანს ან მოვლენას. **წვიტი** (გურ. აჭარ.) – წვრილი, ვინრო; წვნიკი, პატარა; **წაწვიტული** – წაწვრილებული (ლლონტი, 1974:700). **წვიტი** (იმერხ.) – წვრილი (ფუტკარაძე, 1993:655). ამავე მნიშვნელობით დასტურდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: **წვიტი** – წვრილი, წვნიკი (ქეგლ 1964:1084).

სიტყვა „წვიტი“ იმავე მნიშვნელობით, თუმცა ფონეტიკური ვარიაციებით დასტურდება სხვა დიალექტებშიც. მაგ. **წვნიკი** (ქართლ.) – წვრილი, პატარა; **წვიტაჟ** (აჭარ. იმერხ.) – სიმინდის ჯიში (ნიჟარაძე 1961:274).

მენუნია – წუნია, „ძალიან მენუნე ვიყავი, არავის ველაპარაკებოდი“.

ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონის მიხედვით **მენუნია/წუნია** დადასტურებულია გურულსა და იმერულში და განმარტებულია როგორც ადამიანი, რომელიც ყველაფერს იწუნებს (ლლონტი 1974:360; 712). შდრ. გურულში **მენუნია/ე-ს** ეძახიან ბავშვს, რომელიც საჭმელს იწუნებს (ჟლენტი 1936:233).

საბასთან – **წუნი** – წუნების ნაწილი. დასაწუნი, საწუნო, რამე; **წუნება** – თვალსა და გულში არ მოეწონოს (საბა 1993:388); ქეგლ-ში **წუნი** – ნაკლი, ზადი, სპეც. ნაკლის, დეფექტის მქონე ნაწარმი (ქეგლ 1964:1178).

შდრ.: ქიზიყურში ამ სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება სხვა ლექსიკური ერთეული – **კმეხია**, რაც ნიშნავს წუნია ქალს (ლლონტი 1974:296).

საინტერესოა, რომ დასავლურ დიალექტებში ეს სიტყვა უფრო გავრცელებულია, ვიდრე აღმოსავლურში.

ორე – არყის გამოსახდელი მონყობილობა. „ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური აქტი – წითელი მინა, ორე, ნახევრადგამჭვირვალე ოცლიტრიანი და ტალახი“.

აღნიშნული ლექსიკური ერთეული დასტურდება გურულში – **ორე** – დიდი ვარცლი; ამოჭრილი მორი ხისა, ან ფიცრისაგან შეკერილი წყლის ბაკი, არყის გმობდის დროს ხმარობენ (ლლონტი 1974:428); ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება ქეგლში – **ორე** – 1. ამოთლილი ხის ჭურჭელი, 2. კუთხ. (რაჭ.) პატარა საწნახელი (ქეგლ 1960:44). დასტურდება დიალექტური კორპუსის მასალებში: იმას მუუდგმით ორეს. ორეში წყალს უშობდით. ორეში იყო გაყრილი ლულა (ქდკ).

შდრ.: მეგრულში – **ორე** იგივეა, რაც **გურე** – მხარე; **ორე(ნ)** – სამყოფი, სადგომი, თავშესაფარის მნიშვნელობით გვხვდება (ქაჯაია 2001:442).

ჭონჭყო – წყლიანი ადგილი. „სკამებს ქვეშ კი ტალახი და ჭონჭყო იდგა“.

გურულში – **ჭონჭყო** – წყლიანი ადგილი, სადაც ბალახი ამოდის (ჯლენტი, 1936:259). **ჭონჭყი, ჭონჭყო** – ჭაობიანი ადგილი, – ჭანჭრობი (ქეგლ 1964:1286).

ლექსიკური ერთეული ფონეტიკური სახესხვაობით გვხვდება სხვა დიალექტებში: **ჭენჭყო** (იმერ.) – ჭაობი; **ჭენჭყერი** (ზ. იმერ.) – ჭაობიანი მიწა; **ჭენჭყი** (გურ.) – ჭაობი, სველი ადგილი; **გაჭენჭყილი** – წყლით გაჟღენთილი (ლლონტი 1974:719); **ლინჭყი** (კახ. ქართლ.) – ატალახებული მიწა (ლლონტი 1974:332); **ჭოლო ზ.** (აჭარ.) – ჭაობი, ჭაობიანი ადგილი (ლლონტი 1974:728). **ჭყენჭყო** (მეგრ.) – ჭაობიანი ადგილი, ჭანჭრობი, ლეჭენჭყო. **ჭონწყობი//ჭონჭროხი//ჭანჭრახი** (ლაზ.) – ჭაობიანი ადგილი (ქაჯაია 2002:496). შდრ.: აღნიშნული სემანტიკით გურულში დასტურდება ლექსიკური ერთეული – **ლეთემი**, რაც ნიშნავს საფლობს, ტალახიან ადგილს (ჟლენტი 1936:231).

გალანცული – გამურული, გაშავებული. „შემოდგომის წვიმიანი დილის ოთხმოცდაათიანების გურული მეტაფორა გალანცული ლამპის შუშა...“ „მაგრამ ის დროა ნიგნის ფურცელი გალანცული ლამპის გასანმენდად უფრო ფასობს...“

ამ ლექსიკური ერთეულისათვის ამოსავალი უნდა იყოს **ლარცი** – ალი; ხოლო მისგან ნაწარმოები **ლანცვა** – ბოლვა, ალვა. **გალანცული** – ალით შებურვილი (ლლონტი 1974:322).

შდრ.: **ლანჯვა** (იმერ. ლერხ.) – რუჯვა; გამურვა, გაშავება, გალანძვა (ლლონტი 1974).

ზუკუტური – ზურგზე მოკიდებული. „საშინლად აყრიდა წვრილ თოვლს, დადებობისთვის განწირულად და მივყავდი ზუკუტურით (რაც, როგორც პირველად ვთქვი, ზურგზე მოგდებულს ნიშნავს)...“

გურულში **ზუკუტური, მოზუკუტურიება** – ზურგზე შემოგდებით აყვანა (ჯაჯანიძე 1977:97).

2. ზმნური სიტყვა-ფორმები

გიორგი კეკელიძე თავის შემოქმედებაში ხშირად იყენებს ნასახელარ ზმნებს, რომელთა სახელური ნაწილი წარმოადგენს დიალექტურ ლექსიკას. ასეთებია: **გადავლე-ქე, ვჩურთავდი, ფუთქავს, იცრიალებს, იროფება...**

გადავლექე – გადავჯეგე. *„ერთხელ ვახლდი ყანაში, ქანცი გამაძრო, ჩემზე ორჯერ მძიმე თოხი მომცა, მარტო წყალი და მუავე კიტრი წამოიღო, რამდენიმე ძირი სიმინდი გადავლექე, თავიდან ვერ შეამჩნია შორს გამასწრო, მაგრამ რომ მოიხედა წაქცეული სიმინდები დაინახა...“*

შდრ.: ჯავახ. გადამალვა – წყლისაგან ლამის გადატანა, დაღამვა, გადალექვა.

ჩურთვა – დამალვა. *„ვეკეცავდით ამ ქოლგას და ერთ მიტოვებულ სახლთან, ძველი ფოსტა-ვაზეთების ყუთის უკან ვჩურთავდით“.*

ჩურთავს (გურ.) – ავსებს, ტენის (ხვრელს, ჭურჭუტანებს...) ჩურთით, ძენძით, ჩვრით, ბამბით, ქალაღდით და მისთ., – გმანავს (ქეგლ 1964:543). **ჩურთვა** (ქიზიყ.) – გმანვა ჭურჭრუტანებისა (იქვე:665).

შდრ.: ამავე სემანტიკით გვხვდება სხვა დალექტებში ლექსიკური ერთეული **გმანვა** (იმერ. ლეჩხ. გურ.) – ჭურჭრუტანების ამოვსება რითიმე (ლლონტი 1974:155).

ფუთქავს – ცოტა წვიმა მოდის. *„ფუთქავს ცოტას, იცრიალებს და წაი, გადააბი, თვარა აღარაა იქინე აფერი და მიადგება თხილებს!“*

საანალიზო ერთეული ქართული ენის დიალექტებში განსხვავებული სემანტიკით დასტურდება: **ფუთქი** (იმერ.) – 1. ვაზის ზედმეტი რქა, რომელსაც ფურჩქნის დროს აცლიან. 2. წვრილი ფიჩხის შეშა (ქეგლ 1962:194). **ფუთქვა** (იმერ.) – დამწვარ სხეულზე კანის აბერვა, აბუშტუკება, ატკეცა (ლლონტი 1974:551).

იცრიალებს – გამოიდარებს. *„ფუთქავს ცოტას, იცრიალებს და წაი, გადააბი, თვარა აღარაა იქინე აფერი და მიადგება თხილებს!“*

ცრიალი (გურ.) – ავდრის შეჩერება, გამოდარების დასაწყისი; იცრიალა გადაიღო წვიმამ, ცამ ღრუბლების გადაყრა დაიწყო, წვიმა შედგა (შარაშიძე 1938).

შდრ.: ასევე საანალიზო ერთეული გურულში განმარტებულია: **ცრიალი** – გულზეცრიალი-ი მოშეება; გულზე მიცრიალებს ძალიან მშია, შიმშილით კუჭი მენვის (ლლონტი 1974:678); **ცრის** – წვრილად წვიმს, თქორავს (ქეგლ 1964:661).

იროფება – იყინება – *„უფ, იროფება აქოურობა, დავანთო ცეცხლი“.*

როფი (გაროფილი) (გურ.) – მაგარი, სქელი, ყინული (შარაშიძე 1938).

შდრ.: **როფი** – ამოთლილი ან ფიცრებისაგან შეკრული ხის დიდი, პირღია ჭურჭელი – გეჯა (ქეგლ 1960:458); **როფვა** (იმერ.) – მაგრად და ხმაურით დარტყმა, ხეთქვა (ლლონტი 1974:455). **როფი** (გურ. ლეჩხ.) – ღრმა ვარცლი ხისა წყლისათვის ან საქონლის საკვების ჩასაყრელად (ლლონტი 1974). ანსუ ქსკც მასალების მიხედვით **გაროფვა** გვხვდება ძალიან მთვრალის, ირონიულად „ღვინისაგან გამსკდარის“ მნიშვნელობით – „მევიდა ერთხელ ე კაცი გაროფილი მთვრალი და ქე დარჩა დაპირება შეუსრულებელი“ (ქსკც).

გიორგი კეკელიძის ენობრივი სტილი გვიჩვენებს, რომ დიალექტური ლექსიკა შეიძლება იყოს სრულიად ორგანული ნაწილი თანამედროვე ცოცხალი მეტყველები-სა, რომელიც თავის მხრივ აისახება სალიტერატურო ენაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.
- ალავიძე მ., მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის. ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII. ქუთაისი, 1955.
- ბერიძე ვ., სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. თბილისი, 1912.
- ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ., ქართლური დიალექტის ლექსიკონი. თბილისი. 1981.
- გაჩეჩილაძე პ., იმერული სალექსიკონო მასალა. თბილისი. 1976.
- კეკელიძე გ., გურული დღიურები. თბილისი, 2023.
- კობახიძე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1987.
- კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი, 1985.
- მენტეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.
- ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოცემა, თბილისი, 1978.
- ორბელიანის.-ს., ლექსიკონი ქართული. ტ. I, თბილისი, 1991.
- ორბელიანის.-ს., ლექსიკონი ქართული. ტ. II, თბილისი, 1993.
- ჟღენტის ს., გურული კილო. თბილისი, 1936.
- ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ნიგნი I, ბათუმი, 1993.
- ქაჯაია 2001: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I. თბილისი, 2001.
- ქაჯაია 2002: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II. თბილისი, 2002.
- ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8 ტომად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1950-1964.
- ლლონტი 1974: ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. I, თბილისი 1974.
- ლლონტი 1975: ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. II, თბილისი 1975.
- ლლონტი 1984: ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. მეორე გამოცემა. თბილისი 1984.
- შარაშენიძე 1938: შარაშენიძე გ., გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.
- ჯაჯანიძე 1977: ჯაჯანიძე პ., გურული დიალექტური ტექსტები და ლექსიკონის მასალები, I. თბილისი, 1977.
- ქდვ: – ქართული დიალექტური კორპუსი <http://www.corpora.co/#/> დამონდება: 10.09.2023.
- ქართული ლექსიკონები: <https://www.ice.ge/liv/liv/kartlur.php> დამონდება: 10.08.2025 -15.08.2025